ლელა მიქიაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

პლატონ იოსელიანი დავით ბატონიშვილის შესახებ

(„ცხოვრება გიორგი მეცამეტისა"-ს მიხედვით)

პერსონაჟთა მრავალრიცხოვან გალერეაში, რომელიც აღნიშნულ მონოგრაფიაშია წარმოდგენილი, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის უკანასკნელ მემკვიდრეს, გიორგი XII-ის ძეს დავით ბატონიშვილს, რაც სავსებით კანონზომიერად გვეჩვენება: გარდა იმისა, რომ ეს უკანასკნელი, თავისი სტატუსიდან გამომდინარე, XVIII-XIX სს-თა მიჯნაზე განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ერთ-ერთი მთავარი გმირია, ამავდროულად იგი თავისთავად ძალზე საინტერესო და მრავალმხრივი პიროვნებაა: საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, სამხედრო საქმის სპეციალისტი და საბრძოლო ნიჭით დაჯილდოებული ჯარის წინამძღოლი, სამართალმცოდნე და კანონშემოქმედი, მწერალი და მთარგმნელი.

სანამ უშუალოდ დავით ბატონიშვილის პიროვნების პლატონ იოსელიანისეული დახასიათების განხილვას შევუდგებოდეთ, სასურველია, მის მოკლე ბიოგრაფიას გავეცნოთ; სამეფო ოჯახში დაბადებულმა დავითმა იმ დროისათვის ქართულთან ერთად ევროპული სწავლა-განათლება მიიღო: ერეკლეს მიერ ამ მიზნით მოწვეულ იქნენ ჯერ ავსტრიელი გეტინგი (1789 წ.), შემდეგ კი იაკობ რეინეგსი. სწორედ მათ აზიარეს უფლისწული დასავლეთ ევროპულ ლიტერატურასაც და პოლიტიკურ ისტორიასაც. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი გავლენა მის პიროვნებაზე მაინც ქართველ სწავლულს – დავით რექტორს მოუხდენია: მან ჩაუნერგა ტახტის მემკვიდრეს ქართული კულტურის, მწერლობისა და ისტორიის სიყვარული. ამიტომ იყო რომ სიცოცხლის ბოლომდე დავითს მასთან კავშირი არ გაუწყვეტია და მუდამ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა (ამის სანიმუშოდ გამოდგება მისივე წიგნები წარწერით: „მიიღე, ლალაო ჩემო, შრომა ესე გაზრდილისა შენისა, ნიშნად სიყვარულისა ჩემისა" [1, 126].

დავითი ყმაწვილობიდანვე, ხშირად თავისი პაპის – ერეკლეს დავალებით, აქტიურად მონაწილეობდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო ცხოვრებაში, განსაკუთრებით – სამხედრო, საგანმანათლებლო და სამართლის ხაზით. საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი სამხედრო დამსახურებები: იგი ერეკლეს ნდობით სარგებლობდა, 1789 წლიდან უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში და ამ მხრივ თვალსაჩინო წარმატებებიც ჰქონდა. ამის შესახებ საკმაოდ დიდი მასალა მოიპოვება ისტორიულ წყაროებში, მათ შორის, საგანგებოდ მისდამი მიძღვნილ მისივე უმცროსი ძმის – თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომში „დავით ბაგრატიონის ისტორია" [2], ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ბუნებრივია, ასეთივე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა იგი თავისი მამის გიორგი XII-ს ხანმოკლე მეფობის პერიოდშიც. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ დავითი, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებლად დანიშნეს (1801 წლის იანვრიდან ივნისამდე) რუსეთიდან გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში. თუმცა მეფობას მაინც ვერ ეღირსა: ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის მთავრობის განკარგულებით სხვა ბატონიშვილებთან ერთად დავითიც საქართველოდან რუსეთში გადაასახლეს. ამრიგად, სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდი 1803 წლიდან 1819 წლამდე (გარდაცვალებამდე) დავითმა პეტერბურგში გაატარა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იგი რუსეთში 1803 წლამდეც იმყოფებოდა: ჯერ კიდევ 1787-1789 წლებში ერეკლემ მიავლინა რუსეთის სამეფო კარის გასაცნობად და „ევროპული" განათლების გასაღრმავებლად; ორი წლის მანძილზე იგი სწავლობდა და მსახურობდა. მოგვიანებით, 1797-1798 წლებში დავით ბატონიშვილი უკვე სამხედრო სამსახურშია პეტერბურგში, პრეობრაჟენსკის პოლკში. 1798 წ. მეორე ნახევარში იგი სამშობლოში ბრუნდება გენერალ-მაიორის წოდებით [3, 8]. 1800 წლიდან იგი გენერალ-ლეიტენანტია, ხოლო მოგვიანებით, რუსეთში ჩასვლისას, მას სენატორობა უბოძეს და მატერიალურადაც სათანადოდ უზრუნველყვეს (იყო წმ. ანას და წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენების კავალერი).

აქვე ძალიან მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ განვითარდა მოვლენები 1800 წლის 28 დეკემბრის შემდეგ, კერძოდ გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ: ჯერ კიდევ 1800 წ. 18 დეკემბერს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების თაობაზე და საიდუმლოდ გამოუგზავნა იგი კნორინგს. ამ უკანასკნელს, მიღებული ინსტრუქციის თანახმად, უნდა „უზრუნველეყო" ქართველი ხალხის შემზადება „მფარველი" იმპერიის მიერ სა-

ხელმწიფოებრიობის გაუქმების აქტისადმი და მეფის გარდაცვალებისთანავე უნდა გამოექვეყნებინა იგი. თუმცა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, კნორინგმა ეს ვერ გაბედა და გადაწყვიტა უფრო ხელსაყრელ სიტუაციას დალოდებოდა. ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელზეც იგი იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა, იყო ისიც, რომ ზამთრის პირობებში საქართველოს ოკუპაციისათვის საჭირო ჯარის დარიალის გზით გადმოყვანა შეუძლებელია, ამიტომ ურჩევდა, გაზაფხულს დალოდებოდნენ (1801 წლის 12 მარტს პავლე I შეთქმულებმა მოკლეს, თუმცა საქართველოს მომავალზე ამას დიდად არ უმოქმედია: სამეფო ტახტის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო).

ამასობაში აქტიურად მოქმედებდა ლაზარევი (მის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ), რომელმაც გიორგი XII-ს გარდაცვალებისთანავე სამხედრო ძალების მობილიზება მოახდინა, ქართველი თავადები შეკრიბა და საკმაოდ ბუნდოვნად და ორაზროვნად გააცნო „იმპერატორის სურვილები", კერძოდ, განუცხადა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მომავალს იმპერატორი გადაწყვეტდა, თუმცა ტახტის მემკვიდრის დადგინების თაობაზე მის გამოსვლაში გარკვევით არაფერი იყო ნათქვამი. გენერლის სიტყვებს მისივე ნდობით აღჭურვილი თარჯიმანი თარგმნიდა, მაგრამ იქვე მყოფმა სოლომონ ლიონიძემ, რომელმაც მშვენივრად აუღო ალღო რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკას, შეკრებილთ გამოუცხადა, გენ. ლაზარევი დავით ბატონიშვილს მეფობას ულოცავსო, რაზეც გაგულისებული ლაზარევის პასუხი მიიღო: «В переводы не вмешиваться!» სწორედ ამ ფაქტის გამო სოლომონ ლიონიძე ოდნავ მოგვიანებით დააპატიმრეს (ქვემოთ ამ ეპიზოდს კვლავ დავუბრუნდებით) [4, 812-813].

ამრიგად, დავით ბატონიშვილი საქართველოს „მემკვიდრედ და მმართველად" გამოცხადდა, დაპირების თანახმად იგი უნდა დალოდებოდა იმპერატორის მიერ ტახტზე დამტკიცებას. 1801 წ. თებერვლიდან 1802 წ. მაისამდე ქართლ-კახეთში დაისადგურა ე.წ. შუალედურმა ხანამ დამოუკიდებელი სახელმწიფოდან რუსეთის პროვინციამდე: რუსეთის ხელისუფლებამ არ დაუშვა ახალი მეფის გამოცხადება, თუმცა დავით ბატონიშვილს, როგორც ტახტის მემკვიდრეს, მმართველის უფლებაზეც უარი ვერ უთხრა. მაგრამ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება უკვე მხოლოდ დროის საკითხი იყო და 1802 წლის მაისში იგი ალექსანდრე I-ს ხელით განხორციელდა: თბილისში ჩამოსულმა კნორინგმა დავითი ჩამოაშორა მართვა-გამგეობას და იმპერატორის მითითების თანახმად, ჩამოაყალიბა დროებითი უმაღლესი მმართველობა გენერალ-მაიორ ლაზარევის მეთაურობით

(შემადგენლობა – ქართველი მდივანბეგები: ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, იოანე ჩოლოყაშვილი, სულხან თუმანიშვილი და თბილისის მელიქი დარჩია ბებუთოვი) [5, 27]. ამის თაობაზე დავით ბატონიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა:„Лазарев, выбрав четырех плутов, определил их в грузинское правительство: Игнатий (князь Туманов) как может управлять Грузиею?“ [6,125]; ან კიდევ: «Четыре плута и один дурак (ლაზარევი — ლ. მ.) правят всею здешнею землею“ [7, 297].

სწორედ გამგებლობის დღიდან იწყება ურთულესი პერიოდი დავით ბატონიშვილის ცხოვრებაში: იმის ნაცვლად, რომ მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ერთიანი ბრძოლა გამოეცხადებინათ, თავს იჩენს სამეფო ოჯახის წევრთა ურთიერთშორის დაპირისპირება, ასპარეზზე გამოდიან გიორგის ძმები (დარეჯან დედოფლის შვილები), რომლებიც დაჟინებით ითხოვენ ერეკლეს ე. წ. „პირვანდელი ანდერძის“ შესრულებას და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის შეცვლას, ეს დაპირისპირება თითქმის აშკარა ბრძოლაშიც კი გადადის. საგარეო საფრთხის პარალელურად დავითს უწევს შინაურ მოწინააღმდეგეთა გამკლავებაზეც იზრუნოს: საზოგადოების ნაწილი დაიყო იულონისა და დავითის მომხრეებად. შექმნილ ვითარებას თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ჩვენამდე მოღწეული ორი საბუთი: საქმე ეხება ერეკლესაგან ოდესღაც შერისხული ქსნის ერისთავებისათვის მამულების დაბრუნებას, რის თაობაზეც თითქმის ერთდროულად გაცემულია ორი სიგელი – 1801 წ. 17 იანვრით დათარიღებული – იულონ ბატონიშვილის მიერ [8] და ამავე წლის 20 თებერვალს – დავითის მიერ [9]. როგორც ჩანს, ამ ფაქტის შესახებ დავითს 9 თებერვალს შეუტყვია და ამის თაობაზე წერილითაც მიუმართავს იულონისათვის: „გავიგე, რომ ლიახვი მიგიცია შენი სიძისათვის – რევაზ ერისთავისთვის“ და მოუწოდებს, რომ ამგვარი საქციელით კიდევ უფრო ამძიმებს თავის მდგომარეობას. ამავე დროს, „როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი“, სთავაზობს მიიღოს ერთგულების ფიცი და ამით ყველაფერი მიეტევება [10, 300]. ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის გაშუქებული ერთის მხრივ დარეჯან დედოფლისა და მისი შვილების, მეორე მხრივ კი დავითისა და მისი მომხრეების დაპირისპირების ამსახველი მასალა, ამიტომ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ამ ყველაფერს ემატებოდა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა საზიანო ქმედებები; პირველყოვლისა ეს ეხება გენ. ლაზარევს, რომელსაც დავითზე უშუალო მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული და მისი ყოველი ნაბიჯის შესახებ სათანადო მოხსენებითი ბარათებით აუწყებდა რუსეთში. ამის თაობაზე, როგორც მისივე წე-

რილიდან ირკვევა, დავითმა მშვენივრად უწყის (საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიყვანთ ლაზარევის „პატაკიდან“: «Есть у него в приближенных князь Соломон Тарханов, который, сказывали мне, будто весьма при царевиче порочил произведенное в действие покойным царем и старался развращать царевича; но так как здесь все друг другу злобствуют, то может быть и сие клевета. Потому формально В-му Пр-ству не представляю, а имею около него двух надежных шпионов и что далее узнаю, Вам донести не премину... Еще счастье, что имеет малую доверенность ко мне, но и сей боюсь, что скоро потеряю» [10, 329]. ეს ის ლაზარევია, რომელიც ლამის რუსეთის იმპერატორზე მეტად არის მოწადინებული ქართული სახელმწიფოებრიობის დასასამარებლად და საამისოდ თავის მოსხენებით ბარათებში არსებული ვითარების აშკარა გაყალბებასაც არ ერიდება:^ «Живучи здесь полтора года, еще не видал такого совершеннаго удовольствия, как нынче существует. Со дня полученя манифеста все как снова переродилось и ожило; даже можно сказать, что сердятся, если их назовут грузинами, а не говорят, что они русские!» [7, 201].

ასეთი, საკმაოდ რთული ვითარების ფონზე დავითის პიროვნების გარშემო რა თქმა უნდა არაერთგვაროვანი აზრი უნდა შექმნილიყო. ვფიქრობთ, ამის თვალსაჩინო გამოძახილია პლ. იოსელიანის თხზულებაში დაცული ზოგიერთი ცნობაც. ზემოთ ჩვენ ვახსენეთ დავითის ლიტერატურული მოღვაწეობა. მასში დიდი ადგილი უჭირავს თარგმანებს, მათ შორის – იმ დროისათვის მოწინავე დასავლეთ ევროპელ ავტორთა, როგორებიც იყვნენ მონტესკიე („კანონთა რჯულის შესახებ“), ვოლტერი („შობისათვის“), ანსილიონი („ესტეტიკებრნი განსჯანი“), და სხვ. ეს თხზულებები უმეტესად რუსულიდან არის თარგმნილი. ამავე დროს დავითს იმ დონეზე სცოდნია ფრანგულიც, რომ ორი ნაწარმოები ნაწილობრივ დედნიდან უთარგმნია (მონტესკიე და ვოლტერი) [11, 022]; ბუნებრივია, ფრანგ განმანათლებელთა, განსაკუთრებით – ვოლტერის, იდეებით დავითის გატაცებას თანამედროვეთა შორის არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყოლია, რასაც პლ. იოსელიანი გიორგი XII პირით არაერთხელ ახმოვანებს: როგორც ღრმადმორწმუნე ქრისტიანი, ეს უკანასკნელი უკიდურესად შეშფოთებულა ტახტის მემკვიდრის „ურწმუნოებით“: „დიდად ეწუხებოდა, რომ დავით ბატონიშვილი არ იქცეოდა ისე, როგორც მამას იამებოდა, რადგან დავით *მემკვიდრე რუსეთში იყო გაზრდილი* (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოდან იძულებით გადასახლებამდე დავით ბატონიშვილი მხოლოდ ორჯერ იმყოფებოდა რუსეთში, თუმც ვფიქრობთ, ეს გარემოება მისი „რუსეთში გაზრდილობის“ სა-

ბუთად ვერ გამოდგება — ლ. მ.) მარხვას სჭამდა და სარწმუნოებაზედ სუსტად იყო. გაუგზავნა მეფემ მოციქულად ელიაზარ მდივანი ფალავანდოვი და შეუთვალა, თუ ჩემი სიამოვნება გინდაო, მარხვის ჭამაზედ ხელი აიღეო და ეკლესიაშიც ხშირად იარეო. იმან შემოუთვალა: რაც მე მწამს, ის შენ გაგიწყრესო და შენ რაცა გწამს, მე გამიწყრესო. ამ სიტყვას ვერ უბედავდა ელიაზარ მეფესა, მაგრამ ძალით ათქმევინა. მაშინ ბრძანა ფსალმუნი ესე: „დადგა იგი ყოველსა გზასა არა კეთილსა და ბოროტი მას არა მოეწყინაო". ან კიდევ: „დავით მოსრული რუსეთით, ვერ იქცეოდა სურვილისამებრ მამისა. ამისთვის სწუხდა ურწმუნოებისათვის მისისა წესისამებრ წმინდისა ეკლესიისა" და შემდეგ მოჰყავს გიორგი მეფის საუბარი პატრ ნიკოლასთან და მისი რეაქცია ვოლტერის სახელის ხსენებაზე: „ვოლტერი! მეგობარი ჩემის შვილისა დავითისა, ჩემის მემკვიდრისა! ვაი შენსა გიორგისა! რუსეთში მყოფმან შეისწავა მისი ურჯულო სწავლა, მოიტანა აქა მისი სახე, რომელიცა სამართლიანად დავსწვი ცეცხლსა... ღმერთო და მაცხოვარო ჩემო, შენ აპატიე შვილსა ჩემსა დავითს დანაშაული მისი. შენ მოაქციე ჭეშმარიტსა გზაზედ და დაამკვიდრე შენსა სიყვარულზე" [12, 70-71]. იგივე საკითხებს ასეთივე შემართებით განიხილავს ალ. ჯამბაკურ-ორბელიანიც, თუმცა აქ სულ სხვა მიზეზებია სავარაუდო [13, 42-43].

დავითის მიმართ ავტორის არცთუ ობიექტურ განწყობაზე მოწმობს მის მიერ მოყვანილი ორი ეპიზოდი სოლომონ ლიონიძესთან და თეიმურაზ ბატონიშვილთან დაკავშირებით: ზემოთ უკვე ვახსენეთ სოლომონ ლიონიძის დაპირისპირება ლაზარევთან იმპერატორ პავლე I-ის მანიფესტის გაცნობისას, რის შემდეგაც სოლომონ ლიონიძე დაპატიმრებულ იქნა. ჩვენამდე მოღწეულია ამ უკანასკნელის მიერ საპყრობილიდან კნორინგისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც იგი თავის უდანაშაულობას ამტკიცებს. რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, პლ. იოსელიანი ლიონიძის დატყვევებაში დავით ბატონიშვილს სდებს ბრალს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება: „მეფის ძე და მემკვიდრე დავით, ვითარცა რეგენტი ანუ განმგე საქართველოისა, ელოდა წერილთა თვისთა მიწერილთა იმპერატორისადმი პავლესა, პასუხთა. შესული რეცა სრულსა განმგეობითსა ძალსა, იქმოდა სამართალსა, მიიღებდა მოჩივართა და უძღვიდა სამეფოსა. განრისხებულმან ვიეთამე გვამთა ზედა ვითამცა ურჩთა, ბრძანა და მისცა საპყრობილესა სარდალი ოთარ ამილახვარი და სხვანიცა, ამათ შორის იყო თვით უუგონიერესი სოლომონ ლიონიძე", მაგრამ როგორც ცნობილია, სოლ. ლიონიძის გათავისუფლებაში დავითს თავად მიუღია მონაწილეობა; გარდა ამისა, რით შეიძლება ავხსნათ, რომ თავად ლიონიძე

კნორინგისადმი მიწერილ წერილში არსად ახსენებს დავითს და თავის უბედურების მიზეზად ვინმე სომეხ „ოქივატერს“ ასახელებს [10, 323].

რაც შეეხება ოთარ ამილახვარს, რომელიც მართლაც დავითის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყო (მის ბიძებს ემხრობოდა) და ამავე დროს მისი უსაყვარლესი ძმის თეიმურაზის სიმამრიც გახლდათ, აქ არც ისე მარტივად იყო საქმე: ერთის მხრივ, პლატონ იოსელიანი გარკვეულწილად საყვედურობს დავითს, რომ ამ უკანასკნელმა, მიუხედავად არაერთი შეგონებისა (იგივე სოლ. ლიონიძის სიტყვები მოჰყავს: “დასამშვიდებლად მეფობისა და აღრეულობისა დასაცხრომელად, მიიღეთ ზომა მტკიცე, ჰქმენით, რაცა არს საქმნელი, აჩვენეთ ძალი და ძლიერება თქვენი... დუმილი თქვენი და სისუსტე რაცაღათა აძლიერებს თქვენთა მეტოქეთა, დაეც ზარი და მეხი“ და ა.შ.), არ მიიღო მკაცრი ზომები მოწინააღმდეგეთა ასალაგმად, მეორეს მხრივ, – როგორც კი დავითმა გამოიჩინა სიმტკიცე და შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგა, იქვე საყვედურობს, რომ ოთარ ამილახვრის დაკავების გამო (რომლის ქალიშვილზეც დავითი ადრე ყოფილა დანიშნული და ეს ქორწინება არ შედგა) ესრე იქმნა მიზეზად, რომელ მეფის ძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარსეთად და ეახლა ყეენს“ [12, 223]. მაგრამ სინამდვილეში თეიმურაზი 1803 წლის 25 თებერვლამდე (ანუ დავითის რუსეთში გადასახლების დღემდე) თბილისში იმყოფებოდა და მხოლოდ ციციშვილის მიერ დავით და ფარნაოზ ბატონიშვილების რუსეთს გასახლების ღამეს გაიპარა ალექსანდრე ბატონიშვილთან და 1810 წლამდე ირანის შაჰის კარზე ცხოვრობდა.

ცალკე განხილვის საგანია დავითის პირადი ცხოვრების პრობლემები:

„მეფის ძემან და მემკვიდრემან დავით რუსეთსა ყოფნისა დროსა გაიცნა და მოინება შერთვა ცოლად რომლისღაცა ტატისჩევის ქალისა. ... მეფესა გიორგის დიდად სურდა შერთვა ქალისა მის რუსთა გვარისა... რათა მაგალითითა ამით დაკავშირდეს რუსეთთან თვით და ერიცა მისი და რათა მოაშოროს არაწმინდებით ცხოვრებასა ბაყალ ავეტიქას ქალთან დაუმალველად“ [12, 135]. და მეორეგან კი წერს: „1799 წელსა მეფის ძე და მემკვიდრე დავით, ***ურჩი მამისა, თვითნება და მგონებელი ბრძნად თავისა თვისისა...*** შევიდა განსაცდელსა ძნელსა; სიხარბემან ფულისა და ნივთთა მოლოდებამან, სნეულებასა გამო მამისა თვისისა უკურნებელისა, მეფობისა, რომლისა ძალითა ადვილად დახსნიდა ქორწინებასა, – აქმნევინა ესე, რომ არღა ინება შერთვა დანიშნულისა მასზედა ელენე ამილახვრის სარდლის ოთარის ქალისა, არცა ტატიშჩევის ქალისა რუსეთს, და შეირთო **სურვილისამებრ მამისა სვიმონ აღად წოდებულისა აბი მელიქის ქა-**

ლი ხამფერვან ... გარნა თვით დავით, მოსული გონებასა, შევიდა სინანულსა: არცა გვარი თავადობისა, არცა სიძველე და ჩინებულება, არცა მეფობითი აღზრდა ჰაზრითა და ქცევითა – არა აქვნდა მეფის რძალსა და მემკვიდრისა ცოლსა სადედოფლოდ ბაგრატიონის ტახტისათვის მომზადებულსა" [12, 138-139].

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში პლატონ იოსელიანი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, რადგან იმავე გვერდზე (ოდნავ ზემოთ) ვკითხულობთ: „მეფე თვით დაესწრა რძლისა თვისისა მირონცხებასა სასახლისა წმინდის გიორგის ეკლესიასა შინა. თანაშემწეთა აღსრულებისათვის ესრეთისა საქმისა იოანე ანდრონიკაშვილსა, დუცალ ბარათაშვილსა და ეგნატი იოსელიანსა... უბრძანებდა მეფე, იდუმალ დაახლოვონ მისდა შვილი მისი დავით. დღესა მესამესა ქორწილისა მეფემან, რათა მტერთა არა მისცეს მეტად მიზეზი დღესასწაულობისა, დასუსტებისათვის მეფობითისა ღირსებისა, – თვით წარვიდა, ნახა რძალი თვისი, ამბორსუყო და აკურთხა და უბოძა პირის სანახავად ქარვასლა სახასო ქ. თფილისს... და სოფელი გურჯაანი სახასო ყმებითა და მამულითა... ჰგონებდა მეფე, რომელ ესრეთითა ქორწინებითა ძე მისი დავით გამოვიდოდა ცოდვიდამ და განუტევებდა ბაყალ ავეტიქას ქალსა, შეყვარებულსა ადრითვე..." [12, 138]. როგორც ვხედავთ, „ურჩი და თვითნება" დავითის ქორწინება სულაც არ შემდგარა მამის ნების საწინააღმდეგოდ, პირიქით – მოყვანილი ამონარიდის მიხედვით გიორგი XII თვითონვე ყოფილა ამ კავშირის მომხრე. სავარაუდოდ, პლატონ იოსელიანის ამგვარი ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობა სრულიად კონკრეტული მიზეზით არის გამოწვეული; კერძოდ, „ახალი ისტორიის" თეიმურაზ ბატონიშვილისეული ხელნაწერის ერთ ნუსხაში [14], რომელიც ბაგრატ ბატონიშვილს გადაუწერია, ვკითხულობთ: „გარნა ვინაითგან იყო ესე დავით ფრიად დედათა მოყვარე, ესე შეაცთუნა თანა აღზრდილმან მის თანა მთავარ-დიაკონმან ეგნატემ, ონისიმეს ძემან, მარტყოფელმან, რომელიცა იყო ფრიად ფილასოფოს და ესწავათ ერთადცა ამას და დავითსა, რომელიცა იყო ფრიად მისანდო მისი. ამან მოიბირა და შეაუღლა ქალსა სომხისა მოქალაქისასა აღა ტერ სიმონაშვილის ასულსა ზედა ელენეს, რომლისა გამო გულნაკლულ იქმნენ ვითარცა ძმანი, ეგრეთვე ჩინებულნიცა ქართველთანი" [15, 67-68]. აქ ნახსენები „მთავარ-დიაკონი ეგნატე" პლატონ იოსელიანის მამა — გიორგი XII-ს მოძღვარი ეგნატე ონისიმეს ძე იოსელიანია [16, 57]. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია ჩვენი ავტორის პოზიცია: ცდილობს რა გააქარწყლოს სამეფო ოჯახის წევრთა ბრალდება საკუთარი მამის წინააღმდეგ, იგი არცთუ ისე სახარბიელოდ აღწერს ტახტის მემკვიდრის

საქციელს. ნიშანდობლივია ისიც, რომ ეგნატე და პლატონ იოსელიანებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ დავითის მეუღლესთან, რასაც ადასტურებს ამ უკანასკნელის წერილები ეგნატე იოსელიანისადმი და თავად პლატონ იოსელიანის სიტყვები: „თვით ელენე მეფის რძალი და მემკვიდრისა ცოლი იყო ემბაზით მიმქმელი ჩემი. ამისთვის ვიცნობდი მოკლედ მას, მოარული მასთან 4 წელსა სანკტ-პეტერბურგს (1831-1835)..." და ა.შ. [12, 140-143].

უნდა ითქვას, რომ დავით ბატონიშვილის პირადი ცხოვრება მისი სიცოცხლის ბოლომდე ერთგვარად პოლიტიზირებული იყო: გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ მან აღძრა საქმე განქორწინებაზე და თხოვნით მიმართა სასულიერო დიკასტერიას, მაგრამ უარი ეთქვა, რაზეც, სავარაუდოდ, სათანადოდ „იზრუნა" პ. ციციანოვმა (იხ. ქვემოთ). რუსეთში გადასახლებისას მას მეუღლე თან არ წაუყვანია, ეს უკანასკნელი 1810 წ. ჩავიდა პეტერბურგში და ქმრისგან განცალკევებით ცხოვრობდა (გარდაიცვალა 1836 წ.). მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, უკვე რუსეთში მცხოვრებმა დავით ბატონიშვილმა ვერ მიიღო განქორწინების ნებართვა, თუმცა საბაბი, რომელიც საფუძვლად ედო ამგვარ გადაწყვეტილებას და რომელიც მოყვანილია პ. ციციანოვის წერილში სინოდის ობერ-პროკურორ გოლიცინისადმი (1805 წლის 28 თებერვალს), არადამაჯერებლად ჟღერს: «На отношение ко мне от 17-го сентября 1804 г. ... о доставлении письма вашего первенствующему архиепископу Грузинскому, называемому католикосу, Антонию, о разсмотрении просьбы царевича Давида о разводе с его женою и о содействовании с моей стороны в скорейшем и законном окончании сего дела, имею честь препроводить к вам, м. г. мой, отношение со вложением копий с определения учиненнаго по сему предмету в его дикастерии... **Надеюсь, что не отречетесь защищать сказанную царевну, сколько потому, что она умными доводами доказала свою правость, столько и для того, что в земле набожности полный развод сей произвесть может неприятности и черта, почитающая русских малосохраняющими предания церковные, еще более удостоверится столь явным нарушением брака без всяких причин... Наконец долгом звания моего считаю повторить, что развод сего недостойного царевича с его супругой много повредит в умах здешних жителей, христианской верою исполненных и удаленных от вольнодумства, относительно Российского правления, едва в оную землю внесенного, когда и то, что многие русские едят по постам мясо**

неблагонамеренными растолковано было народу при возмущении прошлаго лета» [17, 179-181].

ალბათ პარადოქსია ისიც, რომ მიუხედავად პ. იოსელიანის გამოკვეთილად კრიტიკული განწყობისა, ამავე მონოგრაფიაში გვხვდება დავითის ქება-დიდებაც: „მეფესა დიდად უყვარდა შვილი თვისი დავით, ყოველთა შვილთა და ძმათა შორის უუგონიერესი, ცქვიტი, ფხიზელი და მარჯვე სიტყვითა და საქმითა. მეფის ძენი ორნივე – დავით და იოანე იყვნენ გონიერნი, მხნენი და საქმისა კაცნი; თვით მეფე ირაკლისთან დიდად თამამად და თავისუფლად შევიდოდნენ და დიდად უყვარდა ესენი პაპასა მათსა“ [12, 69]; ვფიქრობთ, დავით ბატონიშვილის პიროვნების შეფასებისას ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა არა მხოლოდ პლ. იოსელიანისთვის არის დამახასიათებელი (რომელიც დავითის სიკვდილამდე ათიოდე წლით ადრე დაიბადა): არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ბატონიშვილს ბევრი შინაური მტერი ჰყავდა, რამაც განაპირობა მის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობების სიუხვე, მაგ. მისი რეგენტობის პერიოდიდან არსებობს ცნობები, ლამის ყოველდღიური საჩივრები კნორინგთან იმის თაობაზე, რომ დავითი ავიწროებდა, კონფისკაციას ახდენდა, მამულების ჩამორთმევით სჯიდა გარკვეულ ადამიანებს, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ შეხვდებით ცნობას იმის თაობაზეც, რომ იგივე დავითმა რეგენტობისას იმდენი წყალობის სიგელი გასცა, რომ შემდეგ მათი გაუქმებაც კი მოუხდათ [1, 127].

სამწუხაროდ, დავითის მიმართ არაობიექტურ შეფასებას ბევრი სხვა, მათ შორის ზოგიერთი თანამედროვე მკვლევრის ნაშრომშიც შეხვდებით, რასაც საფუძვლად დაედო ერთი ფრაზა მისი წერილიდან გენ. ლაზარევისადმი (1801 წლის 18 იანვარი): Е. В.-ву благоугодно было, чтобы я, будучи признан наследником, управлял в сем звании Грузиею, и как я есмь раб Государя, то и повиновался совершенно, и ныне известно В. Пр.-ву, **что Грузия ныне уже не есть Грузия, а Россия, и жители оной суть отныне подданные Империи** (ხაზგასმა ჩვენია – ლ. მ.). Как они теперь дерзают прямо бунтовать и раззорять селения грузинския, когда Вы здесь находитесь, то нужно и необходимо им – дядям моим – увещание и прямое запрещение для их усмирения» [10, 298]. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩვენს მიერ ხაზგასმული ეს ფრაზა, რა თქმა უნდა, მთლიანად შეცვლიდა წერილის აზრს.

უდავოდ დავითის მრავალმხრივობისა და არაორდინალურობის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ მისი პიროვნებით თავის დროზე დაინტერესდა ქართველი პოეტი გ. ლეონიძე, რომელმაც 1938 წელს (!) „ლიტერატურულ საქართველოში“ მის მოღვაწეობას

საკმაოდ კარგი ანალიტიკური წერილი მიუძღვნა. სავსებით მისაღებია პოეტის შემდეგი შეფასება: „დავითი ხარბად ეწაფებოდა და სწრაფად ითვისებდა ახალ აზრებს, შეძენილი ცოდნა თუ შეხედულებანი მას უმალვე და ზოგჯერ – გარემოს ანგარიშგაუწევლად სააშკარაოზე გამოჰქონდა, ამასთანავე, საკმაოდ მოურიდებელი იყო თავის ჩვევა-საქციელში. ამიტომ საკვირველი როდია, თუ დავითს მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში უფრო რადიკალური მოაზროვნის სახელი გაეთქვა, ვიდრე ის ნამდვილად იყო, ხოლო ამ საზოგადოების კონსერვატიულ ნაწილში ზერელე ადამიანის რეპუტაციაც კი შეექმნა". მართლაც სრულიად შეუთავსებელია, რომ თანამედროვეთაგან „ვოლტერიანობის" გამო ლამის ურწმუნოდ შერაცხული ბატონიშვილი ჩვეული გულმოდგინებით თარგმნის და ამუშავებს სასულიერო ხასიათის თხზულებებს: „სიმვოლო ქრისტიანული სარწმუნოებისა" 1800 წელს დაიწერა იმ მიზნით, რომ „სიმვოლო ანუ აღსარება უნდა ჰქონდეს ჩვენს ხალხს აღმოსავლეთის ეკლესიის ყაიდაზე შედგენილიო" და ეს წიგნი მამამისს მიართვა; „ხელხლება ანუ განგებითი ღვთისმეტყველება" და „ჰინდთა ღვთისმეტყველება" [18].

დაბოლოს, ბატონიშვილი, რომელიც ზერელედ და უგულისყუროდ უყურებდა ცხოვრებას, წლების მანძილზე დაძაბული შრომის ფასად არ შექმნიდა (გარდა ზემოთ აღნიშნული თარგმანებისა) ისეთ სერიოზულ ნაშრომებს სამართლისა და ისტორიის დარგებში („სამართალი ბატონიშვილის დავითისა", საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა", „ნარკუევი", «Краткая история Грузии» და სხვ.), გარდა ამისა მასვე ეკუთვნის არაერთი ლიტერატურული ნაწარმოებიც (ლექსები, პროზა).

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დავით ბატონიშვილის შეფასება მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიერ, მაგ. აი, როგორ ახასიათებს მას გაცნობისთანავე (1784 წელს) პ. პოტიომკინი: «Старший сын Георгия, Давид, был 17-ти лет, казался неглуп, и при свойстве яром, он являет быстроту ума, особую сметливость и охоту к войне» [19, 326]. როგორც ჩანს, დავითის პიროვნებაში მართლაც იყო რაღაც ისეთი, რაც ასე აფრთხობდა რუსებს და აიძულებდა მათ, მუდმივად ფხიზლად ყოფილიყვნენ მისი ყოველი ნაბიჯის მიმართ; ავიღოთ თუნდაც დავითის სურვილი ევროპაში მოგზაურობის თაობაზე: ტახტის დაკარგვის შემდეგ დავით ბატონიშვილს ოცნებად გადაექცა რევოლუციური საფრანგეთის – ვოლტერისა და მონტესკიეს სამშობლოს ხილვა; 1802 წელს, რუსეთში გადასახლების მოლოდინში, ჯერ კიდევ არ ჰკარგავდა ამის იმედს, თუმცა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ამასაც კი დიდი სიფრთხილით მოეკიდნენ და საკმაოდ სე-

რიოზული საიდუმლო მიმოწერის შემდეგ (В разговорах его весьма заметен восторг его к Бонапарту, к коему он исполнен почтительного удивления) ამაზეც უარი ეთქვა [17, 58].

დაბოლოს, ასევე ნაკლებად სარწმუნოა პლ. იოსელიანის აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთს გადასახლებული დავითი „საქართველოს საქმეთა შინა არღარა ერეოდა" და მორიდებულ, მშვიდ ცხოვრებას ეწეოდა (თავი დავანებოთ იმას, რომ სწორედ რუსეთში დაასრულა ორი დიდი ნაშრომის – მონტესკიესა და ვოლტერის თხზულებების თარგმნა). ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ: დავითის შემოქმედებას ამ დროს აქტიური პოლიტიკური ზრახვების კვალი დაჰყვება; რა თქმა უნდა, მას უბრალო საკითხავ წიგნად არ შეუქმნია არც «Обозрение Грузии по части прав и законоведения» და არც ამავე თხზულების საწყისი, ქართულად დამუშავებული ვარიანტი „სამართლის" სახით. იგი პეტერბურგში დღენიადაგ პროექტებზე მუშაობს, 1812 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე შეაქვს მოხსენება „საქართველოს უკეთ მოწყობისათვის, რომელშიც დასახულია ღონისძიებანი საშინაო მმართველობასა და სამეურნეო დარგებში. მის სხვა ღონისძიებებს სარჩულად უდევს დაჟინებული მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბატონიშვილთა ქვეყნიდან გაძევება საქართველოსათვის უაღრესად საზიანოა და მის მმართველს **აუცილებლად უნდა მიეჩინოს დამხმარედ ერთ-ერთი ბატონიშვილი.** ეს მოხსენებითი ბარათი დასკვნისათვის გადაეცა საქართველოს ყოფილ მთავარსარდალს პაულუჩის, რომლის გამოხმაურებაც, რა თქმა უნდა, ფრიად არასახარბიელო და ზოგადად, ქართველთათვის შეურაცხმყოფელიც კია, თუმცა ერთში იგი ნამდვილად მართალია, როცა წერს, რომ: «...Обширные затеи царевича Давида Георгиевича, который под предлогом лучшего устройства Грузинского края наклоняет все сие единственно к восстановлению там по-прежнему царя...

... Он давно уверяет, что русские не умеют управлять Грузиею...

...таковым замыслам своим (он) делает теперь пробу... есть ли воспримут проекты его желаемый успех, то никому более неприлично воспользоваться сей честью, как ему – пользовавшемуся некогда титулом наследника и менее участвовавшему в бунтах» [20, 131-132, 139].

1817 წელს, სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე, დავით ბატონიშვილი კვლავ დაჟინებით იმეორებს სენატის სხდომებზე თავის შეხედულებებს, მოითხოვს ტრაქტატის პირობების შესრულებას და ღიად აცხადებს, რომ ქართული სამეფო სახლი ელის, რომ ალექსანდრე I მას აღადგენსო [11, 042], რასაც შედეგად მოჰყოლია არაკჩეევის

ცნობილი მუქარა: «...Просьбы вовсе неосновательные... если и после сего не будет жить спокойно, тогда последует уже повеление, чтобы отставить его от службы и выслать из Петербурга».

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ტრ. რუხაძე, დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ლიტერატურული ძიებანი, I, თბილისი, 1943.
2. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია, ტექსტი გამოსცა თ. ენუქიძემ, თბილისი, 1972.
3. დავით ბაგრატიონი – საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, აპ. როგავას რედაქციით, თბილისი, 1959.
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბილისი, 1973.
5. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბილისი, 1980.
6. Н. Дубровин, Закавказье от 1803-1806 гг., Тифл., 1866.
7. Н. Дубровин, Георгий XII – последний царь Грузии, Тифлиси, 1897.
8. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-1701.
9. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Sd-1702.
10. Акты собранной Кавказской Археографической комиссией, I, Тифлиси, 1866.
11. სამართალი ბატონისშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოც., თბილისი, 1964.
12. პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბილისი, 1936.
13. ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, მეფის ირაკლის დროის ცოცოტა ანბები, (იხ. სარგის კაკაბაძის „წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბილისი, 1914).
14. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-1766.
15. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გამოსცა ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.
16. მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბილისი, 1983.
17. Акты собранной Кавказской Археографической комиссией, II, Тифлиси, 1868.
18. ლიტერატურული საქართველო, 1938, 10, X.

19. Ал. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, Тифл., 1901.
20. И. К. Ениколопов, Две записки царевича Давида „О лучшем устройстве Грузии», – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942, ნაკვ. I.

Lela Mikiashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History

The Historical Portrait of the Prince David in the Works of Platon Ioseliani (According to „The Life of the King Giorgi XIII")

Summary

The last heir of the Kartl-Kaheti throne –the Prince David as many sided and interesting person left a significant trace in the history of Georgia. He was a political and public figure, specialist of military affaires, talented military leader, jurist and legislator, writer and translator.

At the end of the 18th and the beginning of the 19th centuries on the background of the extremely difficult situation in Kartl-Kalkheti (the annulling and annexing of the principality by Russia) the attitude towards the prince David, the mere witness of which are some data preserved in Platon Ioseliani's work, was not simple and similar.

Based on the historical materials the important aspects of the prince David's political activity, his legislative and literary heritage are analyzed in the article. On the basis of the factual material it is proved that Platon Ioseliani's attitude to the heir of the throne is not often objective and that is why the information often is contradictory and not clarified in the work.

One of the most difficult periods in the Prince David's life began when he was appointed as a ruler of the country. Instead of consolidation and fighting against the possible threats the members of the royal family opposed each other. The brothers of the king Giorgi XII appeared on the political stage (sons of the queen Darejan) who insisted on fulfilling king Erekle's so called

„original last will" and on changing the rule of handing down the throne. This opposition nearly became an obvious fight. Besides the foreign threat David had to resist the opposition in the country. The whole society divided into: adherents of Iulon and David. That is why it was natural that David gained a name of a more radical politician in the society than he really was and an enviable person among the conservative part of the same society.